ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2017
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/17

შეკითხვა:

ადვოკატ „ბ“-ს კლიენტისათვის უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება სამემკვიდრეო დავასთან დაკავშირებით. შეთანხმების შესაბამისად, კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი წინასწარ. ადვოკატმა დაიწყო კლიენტის საქმის წარმოება, მოიძია დოკუმენტები, რის შემდგომაც უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში, თუმცა კლიენტმა მოულოდნელად განაცხადა, რომ სხვა ადვოკატი, რომელიც მისი ახლობელი აღმოჩნდა ჰონორარის გადახდის გარეშე გაუწევდა მას იურიდიულ მომსახურებას, შესაბამისად, ადვოკატ „ბ“-სთან წყვეტდა ურთიერთობას და ითხოვდა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნებას. ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს თუ არა კლიენტს გადახდილი ჰონორარი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის მიერ, ასევე ადვოკატის მიერ ხელშეკრულების

შეწყვეტის შემთხვევებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის სრული მოცულობით განხორციელება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა შეასრულა გარკვეული იურიდიული მომსახურება კლიენტის საქმეზე. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა თავისი ინიციატივით შეწყვიტა ადვოკატთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს კლიენტს გადახდილი ჰონორარის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მას იურიდიული მომსახურება არ გაუწევია.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისავის მისაღები გასამრჯელო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაბამისად. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.